საქმე №010332223900153324

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-03-23 **24 თებერვალი, 2023 წელი**

თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე - ალექსანდრე წულაძე
მოსამართლეები - რევაზ ნადარაია (მომხსენებელი)
გოჩა აბუსერიძე

სხდომის მდივანი - მ--- ჯ--------

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ა–---------- კ------ე

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

წარმომადგენელი - თ----- ხ----------

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 14 ნოემბრის №021/22 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2022 წლის 10 მარტს, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა გ--- კ----------–მა და მოითხოვა ადვოკატ ა–---------- კ------ ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

გ--- კ----------ის განმარტებით, ადვოკატ ა–---------- კ------ეს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართა 2020 წელს. მხარეთა შორის არსებული ზეპირი შეთანხმებით, ადვოკატს ევალებოდა გ--- კ----------ის სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილს მიღებული განაჩენის (საქმე №149ა3-20) ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატის ჰონორარი იქნებოდა 2000 აშშ დოლარი, რაც კლიენტის ძმამ - დ----- კ----------მა სრულად გადაუხადა ა–---------- კ------ეს. ადვოკატისათვის ჰონორარის გადაცემის შემდეგ, გ--- კ----------მა ა–---------- კ------ისაგან მიიღო ინფორმაცია, რომ საჩივარი ფოსტით გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, თუმცა კლიენტი არ იცნობდა საჩივრის შინაარსს. გ--- კ----------ის განმარტებით, თავდაპირველად, ადვოკატმა მარტივად მოიპოვა მისი ნდობა, რის გამოც, 2021 წლის 17 მარტს მისმა ძმამ - დ----- კ----------მა ადვოკატთან გააფორმა წერილობითი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ადვოკატ ა–---------- კ------ეს გ--- კ----------ის ინტერესები უნდა დაეცვა სხვა საქმეზეც, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ადმინისტრაციულ ორგანოებთან და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას. გ--- კ----------ის განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილ საჩივართან დაკავშირებით ადვოკატი არ აწვდიდა ინფორმაციას და მუდმივად განუმარტავდა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან შეტყობინება არ მიუღია და სიახლეს აუცილებლად აცნობებდა.

გ--- კ----------ის განმარტებით, მოგვიანებით მის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გამოიკვეთა ახალი გარემოებები, რის გამოც გადაწყვიტა საქმის წარმოების განახლება და დასახმარებლად სხვა ადვოკატს მიმართა, რომელმაც მოსთხოვა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებული საქმის მასალები და საჩივარი. აღნიშნული მასალების მიღების მიზნით, გ--- კ----------მა მიმართა ადვოკატ ა–---------- კ------ეს, რომელმაც განუმარტა, რომ ვალდებული არ იყო საჩივრის შინაარსი კლიენტისთვის შეეთანხმებინა და მიაწოდა მხოლოდ საქართველოს ფოსტის გზავნილის კოდი, რომლის საშუალებითაც გაირკვა, რომ ადვოკატმა ნამდვილად გააგზავნა დოკუმენტი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, თუმცა არ დგინდებოდა რა შინაარსის დოკუმენტი იყო გაგზავნილი და ვისი სახელით. 2022 წლის 7 ნოემბერს განხილვის კოლეგიის დისტანციურად გამართულ სხდომაზე საჩივრის ავტორმა დააზუსტა, რომ წერილობით მიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს, საიდანაც მიიღო პასუხი, რომ საქართველოს მოქალაქე - გ--- კ----------ის სახელით ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს კანცელარიაში აპლიკაცია არ დარეგისტრირებულა. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად გ--- კ----------მა წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან 2022 წლის 28 ივნისს მიღებული ინგლისურენოვანი წერილი.

გ--- კ----------მა მიუთითა, რომ ადვოკატმა ა–---------- კ------ემ არ შეასრულა მასზე

დაკისრებული მოვალეობა, არ შეადგინა საჩივარი და არ გააგზავნა ის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში; ადვოკატმა უარი განუცხადა მას შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალის წარდგენასა და საქმის მსვლელობაზე ინფორმაციის მიწოდებაზე, რის გამოც მოითხოვა ადვოკატის დისციპლინური წესით დასჯა და გადახდილი ჰონორარის დაბრუნება.

2022 წლის 20 ივლისს, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა–––------ ------ კ------ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე კეთილსინდისიერების, კვალიფიციურობის, ინფორმირებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულებების შესაძლო დარღვევის ნაწილში („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილები).

საქმეში არსებული მტკიცებულებების შესწავლის შედეგად, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიამ, 2022 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ადვოკატ ა–––---------- კ------ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილები.

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში, ეთიკის კომისიამ საქმეზე უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:
- მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლის მიხედვით, ადვოკატ ა–––---------- კ------ეს კლიენტის - გ--- კ----------–---ის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში უნდა გაესაჩივრებინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის განაჩენი (საქმე №149აპ-20).
- მხარეთა შეთანხმებით, ზემოთ მითითებული საქმისწარმოებისათვის ჰონორარს წარმოადგენდა 2000 აშშ დოლარი, რაც გ--- კ----------–---მა სრულად გადაუხადა ადვოკატ ა–––---------- კ------ეს.
- 2021 წელს მხარეები წერილობით შეთანხმდნენ, რომ ზემოთ მითითებული საქმის გარდა, ადვოკატ ა–––---------- კ------ეს გ--- კ----------–---ისათვის საადვოკატო მომსახურება სხვა საქმეზეც უნდა გაეწია.
- ადვოკატმა ა–––---------- კ------ემ 2020 წლის 11 ოქტომბერს გააგზავნა დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში (გზავნილის კოდი RR0011786247). დოკუმენტის შინაარსი უცნობია.
- უზენაესი სასამართლოს მიერ განაჩენი მიღებულია 2020 წლის 10 აპრილს (საქმე №149აპ-20). მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობისას ადამიანის

უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის ვადა იყო განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან ექვსი თვე. ადვოკატ ა–––---------- კ------ის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წერილი (გზავნილის კოდი RR0011786247) გაგზავნილია გასაჩივრების ვადის დარღვევით - 2020 წლის 11 ოქტომბერს.
- ადვოკატ ა–––---------- კ------ის დავალებით, მ-------- შ–––---------ის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2021 წლის 10 აგვისტოს გაგზავნილია წერილი (გზავნილის კოდი RR001125625GE). წერილის შინაარსი უცნობია.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:
- ადვოკატმა ა–––---------- კ------ემ კლიენტს არ შეუთანხმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნი საჩივრის შინაარსი; კლიენტს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა საქმის მიმდინარეობაზე, რომ მან ნამდვილად გააგზავნა საჩივარი გ--- კ----------ის სახელით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და უზენაესი სასამართლოს განაჩენის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებისას დაიცვა შესაბამისი ვადა.
- ადვოკატმა ა–––---------- კ------ემ კლიენტს შეთანხმებული მომსახურება სრულად არ გაუწია.

განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ა–––---------- კ------ემ დაარღვია კლიენტის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობისა და საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულებები, ვინაიდან ადვოკატმა შესაბამისი ვადის დაცვით არ გააგზავნა საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში; კლიენტს არ გააცნო საჩივრის შინაარსი და არ მიაწოდა სწორი ინფორმაცია საქმის მიმდინარეობაზე.

ეთიკის კომისიაში წარდგენილი საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატმა ა–––------ ------ კ------ემ 2020 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ფოსტის მეშვეობით გზავნილი №RR000786247GE გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, თუმცა არ დგინდება გზავნილის შინაარსი, კერძოდ აღნიშნული გზავნილი ეხებოდა თუ არა გ--- კ----------ის სისხლის სამართლის საქმეს. განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა საფოსტო გზავნილის გაგზავნის თარიღზე - 11.10.2020 წელი. გ--- კ--------–----ის სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განაჩენი მიღებულია 2020 წლის 10 აპრილს. დასახელებულ პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მიმართვა დასაშვები იყო დაცვის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების ამოწურვიდან 6 თვის განმავლობაში - მოცემულ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს მიერ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 6 თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეთიკის კომისიაში წარდგენილი საქმის მასალებით დადასტურდებოდა, რომ 2020 წლის 11

ოქტომბერს ადვოკატმა ა–––––––––––– კ------ემ ნამდვილად გ--- კ----------–----ის სისხლის სამართლის საქმეზე შედგენილი საჩივარი გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ადვოკატის მიერ დარღვეულია საჩივრის წარდგენის ვადა. განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ადვოკატი მხოლოდ 2021 წლის აგვისტოს თვეში დაინტერესდა მის მიერ 2020 წლის 11 ოქტომბერს გაგზავნილი წერილის სტატუსით და მანამდე აღნიშნულ დოკუმენტზე ინფორმაციის მიღება არ უცდია, რაც ასევე არ წარმოადგენს კლიენტის საქმის გულისხმიერად წარმოებას.

საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე, განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია, რომ ადვოკატმა ჯეროვნად არ შეასრულა კლიენტთან ზეპირი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, არ დადგინდა, რომ ადვოკატმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ნამდვილად გააგზავნა საჩივარი გ--- კ----------–----ის სისხლის სამართლის საქმეზე; დაიცვა საპროცესო ვადები და კლიენტს მიაწოდა სწორი და ზუსტი ინფორმაცია საქმის მიმდინარეობაზე. შესაბამისად, განხილვის კოლეგიამ სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატ ა–––––––––––– კ-----ის მხრიდან დარღვეულია კლიენტის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობისა და ინფორმირების ეთიკური სტანდარტები.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, კომისიამ ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განსაზღვრა - გაფრთხილება.

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტი, რომ სახეზეა ადვოკატის მიერ ჩადენილი ერთზე მეტი დისციპლინური გადაცდომა. ამასთანავე, გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ადვოკატს ჰქონდა დისციპლინური წარმოების პროცესში ქცევის ცვლილების - კლიენტისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდებისა და კლიენტთან ფინანსური საკითხების გარკვევის შესაძლებლობა - რაც ადვოკატმა არ შეასრულა. ეთიკის კომისიის შეფასებით, ამ პირობებში, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 14 ნოემბრის №021/22 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა - ა–––––––––––– კ------ემ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი აქვს 6 თვიანი ვადის დაცვით.

რაც შეეხება ჰონორარს - მიუთითებს, რომ მის მიერ აღებული 2000 აშშ დოლარი არ წარმოადგენდა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნი

საჩივრის შედგენისა და გაგზავნის ღირებულებას, იგი დღემდე აგრძელებს გ--- კ-------–------ის ინტერესების დაცვას და უსაფუძვლოდ მიიჩნევს ეთიკის კომისიის მითითებას გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

ა–---------- კ------ემ ასევე მიუთითა, რომ მის მიმართ წარმოებულ საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - კ---------- გ---------–მა, რომელსაც არ ჰქონდა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების უფლება, ვინაიდან რამდენიმე საქმეზე ისინი იყვნენ მოწინააღმდეგე მხარეთა წარმომადგენლები და აქედან გამომდინარე, მიაჩნია, რომ არსებობდა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი აცილების საფუძველი, ვინაიდან მისი დისციპლინური საქმის განხილვისას კ---------- გ---------–ი იქნებოდა სუბიექტური პირადი ინტერესიდან გამომდინარე და გამოიტანა უსამართლო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ ა–---------- კ------ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 14 ნოემბრის №021/22 გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სადისციპლინო პალატა პირველ რიგში მიუთითებს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, *ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.* ამავე კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, *ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები;* მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, *ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.* ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5

ნაწილის თანახმად, *ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა;* ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, *ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ;* ამავე მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით კი, *კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.*

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე. დავალების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ადვოკატ ა–---------- კ------ეს კლიენტის - გ--- კ-------–----–ის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის განაჩენი (საქმე №149ა3-20) ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში უნდა გაესაჩივრებინა. შეთანხმება თავდაპირველად ზეპირი სახით დაიდო, რაზედაც მოგვიანებით - 2021 წელს, გაფორმდა მხარეთა წერილობითი შეთანხმება და განისაზღვრა, რომ ზემოაღნიშნული საქმის გარდა, ადვოკატს გ--- კ----------–----ისათვის საადვოკატო მომსახურება სხვა საქმეზეც უნდა გაეწია. გარიგება იყო სასყიდლიანი და გასამრჯელო (ჰონორარი) ჯამში 2000 აშშ დოლარს შეადგენდა.

დადგენილია, რომ გ--- კ----------–----ის ძმამ - დ----- კ----------–----მა ადვოკატს გასამრჯელო (ჰონორარი) სრულად გადაუხადა, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი გადახდის ქვითრებით. შესაბამისად, საჩივრის ავტორს (ადვოკატს, რწმუნებულს) კლიენტის მიმართ წარმოეშვა დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედების სრულყოფილად, კვალიფიციურად და სათანადო გულისხმიერებით განხორციელების ვალდებულება, რამეთუ, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება *(იხ. სუსგ N ას-29-2021, 28.05.2021 წ.).*

სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ რამდენადაც ადვოკატი მოქმედებს კლიენტის სახელით, მისი ყველა ქმედება ნაკარნახევი უნდა იყოს კლიენტის ინტერესებით და ემსახურებოდეს კლიენტის უფლებების დაცვას. კვალიფიციური, სრულყოფილი და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა ნაკისრი ვალდებულების ჯეროვან განხორციელებასთან ერთად, ასევე, დაკავშირებულია ადვოკატის მიერ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდებასა და სათანადო კომუნიკაციაზე. აუცილებელია, რომ კლიენტსა და ადვოკატს შორის კომუნიკაცია იყოს მარტივი, ხელმისაწვდომი და კლიენტს მიეწოდებოდეს ამომწურავი ინფორმაცია საქმის

გარშემო. კლიენტი, როგორც საქმის შედეგით დაინტერესებული პირი, მნიშვნელოვანია ზედმიწევნით ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ასევე, მოიცავს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მის საქმეზე მიღებული დოკუმენტების მიწოდების ვალდებულებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, მთავარ სადავო საკითხს სწორედ იმის გარკვევა წარმოადგენს, საერთოდ შეასრულა თუ არა და რამდენად კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად განახორციელა ადვოკატმა ის ვალდებულებები, რასაც მხარეთა შეთანხმება, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებდა; კერძოდ, **გაასაჩივრა თუ არა გ--- კ----------ის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის განაჩენი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში; მიაწოდა თუ არა კლიენტს ზუსტი და სწორი ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, წარმოეშვა თუ არა წარმომადგენელს გამოუმუშავებელი ჰონორარის უკან დაბრუნების ვალდებულება.**

სადავო საკითხთან მიმართებით, სადისციპლინო პალატა იზიარებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ა---------- კ------ემ არაჯეროვნად შეასრულა საადვოკატო მომსახურების შესახებ შეთანხმებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები; კერძოდ, პალატის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულებები ერთობლიობაში, აშკარად მიუთითებენ საჩივრის ავტორის მხრიდან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევით, არაკვალიფიციური და არასრულყოფილი იურიდიული მომსახურების გაწევის ფაქტზე.

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების თვალსაზრისით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ ა---------- კ------ემ გ--- კ----------ის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის განაჩენი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა. მოცემულ შემთხვევაში, ა---------- კ------ის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით მარტოოდენ ის გარემოება დგინდება, რომ მან 2020 წლის 11 ოქტომბერს, შპს „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სახელსა და მისამართზე ნამდვილად გააგზავნა

გზავნილი კოდით: №RR0011786247, თუმცა, საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი დასახელებული გზავნილის შინაარსის დამადასტურებელი რაიმე რელევანტური მტკიცებულება. სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების თვალსაზრისით კი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გადამწყვეტი იყო ადვოკატის მხრიდან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში არა ნებისმიერი გზავნილის გაგზავნის ფაქტის, არამედ თავად გზავნილის შინაარსის დადასტურება, რომელიც უტყუარად დაადგენდა გ--- კ----------ის სახელით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის ფაქტს.

სადისციპლინო პალატა ერთი მხრივ, იზიარებს საჩივრის ავტორის არგუმენტს მასზედ, რომ *გზავნილის ფოსტის მეშვეობით გაგზავნისას, კონვერტი ყოველთვის დაფარულია და გზავნილის შინაარსი საფოსტო დაწესებულებებისათვის უცნობია,* თუმცა, მეორე მხრივ, პალატა ვერ გაიზიარებს ადვოკატის მოსაზრებას მასზედ, რომ *აღნიშნულის გამო, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ კონვერტში ნამდვილად გ--- კ----------ის საჩივარი იყო მოთავსებული.* ამ მიმართებით, საჩივრის ავტორს შეეძლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან თავად გამოეთხოვა შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც საქმეში არსებულ მტკიცებულებას - №RR0011786247 საფოსტო გზავნილს *(რომლითაც ადვოკატის განმარტებით საჩივარი გაიგზავნა)* ეჭვქვეშ აღარ დააყენებდა და პალატას დაარწმუნებდა მისი არგუმენტაციის მართებულობაში, თუმცა, საჩივრის ავტორს განსახილველი საქმის ფარგლებში, ამ სახის მტკიცებულება არ წარმოუდგენია. სადისციპლინო პალატას მხედველობის მიღმა არ დარჩენია ა-----------კ------ის ახსნა-განმარტება მასზედ, რომ *მისი დავალებით, მ-------- შ----------ემ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2021 წლის 10 აგვისტოს გააგზავნა №RR001125625GE წერილი გ--- კ----------ის საჩივართან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით, თუმცა, სასამართლოდან პასუხი დღემდე არ მიუღია.* ამ მიმართებით, მნიშვნელოვანია, რომ მ-------- შ----------ის მიერ გაგზავნილი წერილის შინაარსიც ისეთივე უცნობია პალატისათვის, როგორც №RR0011786247 გზავნილის შემთხვევაში. შესაბამისად, დასახელებული საფოსტო გზავნილები, ვერც ცალ-ცალკე აღებული და ვერც მათი ერთობლივი განხილვის შედეგად, ვერ უქარწყლებს სადისციპლინო პალატას ეჭვს მასზედ, რომ გ--- კ----------ის სახელით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, საჩივარი საერთოდ არ წარდგენილა.
პალატა აქვე, ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2023 წლის 28 თებერვლის სხდომაზე, სასამართლოს შეკითხვაზე - *თუ რა აქტივობებს ახორციელებს ადვოკატი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარსადგენად (დრო-16:27:55),* საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ *ადვოკატი იღებს საქმის მასალების ასლებს, ეცნობა საქმეს, ამზადებს შესაბამის საჩივარს, რომელსაც ურთავს სათანადო მტკიცებულებებს, ახორციელებს დოკუმენტების თარგმანს და შემდგომ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აგზავნის (დრო-16:28:06).* პალატა აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მიერ დასახელებული იმ იურიდიული

მნიშვნელობის მქონე ქმედებების ფონზე, რასაც ადვოკატი როგორც წესი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარსადგენად ახორციელებს, დამაჯერებლობას მოკლებულია ის ფაქტი, რომ ადვოკატმა ობიექტურად ვერ შეძლო რაიმე მტკიცებულების - მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით მომზადებული საჩივრის თუნდაც ელექტრონული ასლის, საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების თარგმანის შესრულების დამადასტურებელი ქვითრის, ცნობის ან რაიმე სხვა რელევანტური მტკიცებულების წარმოდგენა იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ ასეთი ქმედებები ა–––––––––– კ------ემ რეალურად განახორციელა.

სადისციპლინო პალატა ალოგიკურად მიიჩნევს ადვოკატის იმ ახსნა-განმარტებასაც, რომ *საქმის მასალები თან დაურთო ფოსტის მეშვეობით გაგზავნილ საჩივარს, რის გამოც საქმის მასალები მის არქივში აღარ ინახება.* იმ პირობებში, როდესაც საჩივრის წარსადგენად შესაბამისი იურიდიული მოქმედებები სრულდება, როგორც წესი, ელექტრონული ფორმით, პალატისათვის არადამაჯერებელია, რომ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, რაიმე დოკუმენტი ადვოკატის ელექტრონულ მასალებში არ მოიპოვება. ამასთან, პალატა მიიჩნევს, რომ როდესაც დავალება შეეხება ადვოკატის მხრიდან კონკრეტული ქმედების განხორციელებას *(განსახილველ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენას),* სწორედ ადვოკატზეა მტკიცების ტვირთი და ის არის ვალდებული სარწმუნოდ დაუდასტუროს კლიენტს მისი მხრიდან, დაკისრებული მოვალეობის ჯეროვანი შესრულება, რაც განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ უგულვებელყოფილია.

სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, *განხილვის კოლეგია დისციპლინურ საქმეს იხილავს მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით.* მითითებული პრინციპების მიხედვით, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ეთიკის კომისია არ არის ვალდებული მტკიცების ტვირთის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამტკიცებულად მიიჩნიოს საწინააღმდეგო. ამასთან, დისციპლინური სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათი, მხარეს არ ათავისუფლებს მტკიცების ტვირთის ვალდებულებისგან. შესაბამისად, მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის პოზიციას. ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები კი, უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა.

განსახილველ შემთხვევაში, იმ პირობებში, როდესაც გ--- კ----------ი 2022 წლის 08 აგვისტოს განცხადებაში აღნიშნავს, რომ *სტრასბურგის სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მისი საიდენტიფიკაციო მონაცემებით სასამართლოში საჩივარი არ*

დარეგისტრირებულა (ს.ფ. 76), პალატა ითვალისწინებს რა მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტს, მიიჩნევს, რომ სწორედ საჩივრის ავტორი იყო ვალდებული, წარმოედგინა მტკიცებულებები მასზედ, რომ მან გ--- კ----------ის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის განაჩენი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების ამოწურვიდან 6 თვის განმავლობაში გაასაჩივრა, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გ--- კ----------ის სახელით საჩივრის არათუ 6 თვიან ვადაში, არამედ ზოგადად წარდგენის ფაქტიც კი.

აქვე, სადისციპლინო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ ადვოკატ ა---------- კ------ის მხრიდან კვალიფიციური, სრულყოფილი და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა თავის თავში მოიცავდა არა მარტო კლიენტის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით საჩივრის მომზადებასა და ფოსტისათვის გადაცემას, არამედ, ამ გზავნილის ადრესატისათვის - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის კანონით დადგენილი წესით ჩაბარების კონტროლსაც. საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატმა არ განახორციელა ქმედითი ღონისძიებები გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარების კონტროლის მიზნით. კერძოდ, დადგენილია, რომ №RR0011786247 დოკუმენტი, რომელიც ადვოკატის მითითებით წარმოადგენდა გ--- კ----------ის სახელით შედგენილ საჩივარს *(მისი შინაარსი რეალურად უცნობია),* ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაიგზავნა 2020 წლის 11 ოქტომბერს, თუმცა, გზავნილის ადრესატისათვის გადაცემის საკითხი დღემდე გაურკვეველია. ამ მიმართებით, მართალია, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ საჩივართან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით, მისი დავალებით მ-------- შ---------ემ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2021 წლის 10 აგვისტოს გააგზავნა №RR001125625GE წერილი, რაზეც პასუხი დღემდე არ მიუღია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ წერილის გაგზავნა განხორციელდა საჩივრის გაგზავნიდან *(როგორც ამას ადვოკატი განმარტავს)* 10 თვის გასვლის შემდგომ, ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, დასახელებული წერილის შინაარსი უცნობია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გზავნილის ბედი უშუალოდ გამგზავნ კომპანიაში ადვოკატმა დაახლოებით 2 წლის შემდეგ - 2022 წელს მოიკითხა, რასაც ადასტურებს შპს „საქართველოს ფოსტის“ 2022 წლის 30 ივნისის წერილი. დასახელებული წერილის შინაარსის მიხედვით, საერთაშორისო საფოსტო გზავნილებზე ინფორმაციის მოძიების ვადა განისაზღვრება გაგზავნის დღიდან 6 (ექვსი) თვის ვადით (ს.ფ. 71); შესაბამისად, ნათელია, რომ ადვოკატს შეეძლო მარტივად, უშუალოდ საფოსტო კომპანიაში მოეკვლია გზავნილის ადრესატისათვის გადაცემის საკითხი, თუკი ამას დროულად განახორციელებდა, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, საფოსტო გზავნილზე ინფორმაციის მოძიების ვადას ადვოკატმა დაახლოებით წელიწად ნახევრით გადააცილა, რამაც გაურკვეველი გახადა ისედაც სადავო შინაარსის მქონე გზავნილის ადრესატისათვის გადაცემის საკითხი. აღნიშნული კი, სხვა დანარჩენ ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში,

პალატის მოსაზრებით ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატი გულგრილად ეკიდებოდა როგორც საქმეს, ასევე კლიენტის წინაშე აღებულ პასუხისმგებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატმა არ განახორციელა კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა გ--- კ----------ის საქმესთან დაკავშირებით, რამეთუ მან ვერ შეძლო დაედასტურებინა მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოება - გ--- კ---------ის სახელით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის ფაქტი.

გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ზოგადად გ--- კ----------ის სახელით საჩივრის წარდგენის ფაქტიც კი, სადისციპლინო პალატა მიზანშეწონილად აღარ მიიჩნევს განავრცოს მსჯელობა მასზედ, *ა---------- კ------ემ 2020 წლის 11 ოქტომბრის №RR0011786247 გზავნილის გაგზავნით, დაიცვა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის დასაბუთებული საჩივრით მიმართვის ვადა,* რადგან №RR0011786247 გზავნილის ვადაში გაგზავნის ფაქტის დადგენაც კი, ვეღარ გახდება ადვოკატის ძირითადი მიზნის – ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების დადასტურების საფუძველი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების განმარტებას მასზედ, რომ ადვოკატმა ა---------- კ------ემ უგულებელყო მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

განსახილველ შემთხვევაში, გ--- კ----------ის მიერ, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ წარდგენილი არაერთი განცხადებიდან ირკვევა, რომ ადვოკატისაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მას აცნობეს, რომ მისი სახელით საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი იყო, თუმცა, მისთვის უცნობი იყო როგორც წარდგენილი საჩივრის შინაარსი, ასევე, გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარების შესახებ ინფორმაცია; მისთვის საფოსტო გზავნილის კოდი (RR000786247GE) ცნობილი იყო, თუმცა, გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება არ დასტურდება; ასევე, გ--- კ----------ის ერთ-ერთ განცხადებაში მითითებულია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ძმასთან კომუნიკაციის შედეგადაც ახალს ვერაფერს არკვევდა, ვინაიდან ადვოკატი აგრძელებდა უპასუხისმგებლოდ მოქცევას. დასახელებულ გარემოებებთან მიმართებით, სადისციპლინო პალატა მხედველობაში იღებს თავად ადვოკატის - ა---------- კ------ის მიერ, მსჯავრდებულ გ--- კ----------ის სახელზე მომზადებული წერილის შინაარს, რომლის მიხედვით, *ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი ა---------- კ------ემ გადასცა მის ძმას - დ----- კ----------ს. საჩივარი და*

თანდართული მასალები გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და ასლები მის არქივში არ ინახება (ს.ფ.11). დასახელებული წერილის შინაარსი, სადისციპლინო პალატის შეფასებით, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატი უშუალოდ მის კლიენტს - გ--- კ----------ს არ აწვდიდა მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ სწორ, ამომწურავ ინფორმაციასა და შესაბამის დოკუმენტებს, რაც არღვევს კლიენტის ინფორმირების ეთიკურ ვალდებულებას, რადგან კლიენტის ინფორმირება მისთვის არა ნებისმიერი, არამედ სწორი და სრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას გულისხმობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ა---------- კ------ემ დაარღვია როგორც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის *(ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები)* და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის *(ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა)* მოთხოვნები, ისე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის *(ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან)* და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის *(ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ)* მოთხოვნები.

რაც შეეხება ადვოკატ ა---------- კ------ის მხრიდან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის *(კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი)* მოთხოვნათა დარღვევასა და გამოუმუშავებელი ჰონორარის უკან დაბრუნების ვალდებულებას, სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ ვინაიდან მოცემული საქმის განხილვისას დადგინდა, რომ ადვოკატმა არაჯეროვნად შეასრულა საადვოკატო მომსახურების შესახებ შეთანხმებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები *(ვერ დაადასტურა, რომ გ--- კ----------ის სახელით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, საჩივარი წარადგინა და ამავდროულად, დაარღვია კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულება),* მას წარმოეშვა ამ კონკრეტული შეთანხმების შეუსრულებლობით გამოუმუშავებელი ჰონორარის შესაბამისი წილის უკან დაბრუნების ვალდებულება, რაც მას არ განუხორციელებია. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა იზიარებს ეთიკის კომისიის

დასკვნას მასზედ, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მოთხოვნა.

გარდა ამისა, სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პრეტენზიას ეთიკის კომისიაში საქმის განხილვის კოლეგიის თავმჯდომარის - კ---------- გ---------ის მიუკერძოებლობასთან მიმართებით. პალატა მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება მასზედ, რომ *რამდენიმე საქმეზე ის და კ---------- გ---------ი წარმოადგენდნენ მოწინააღმდეგე მხარეთა წარმომადგენლებს, რის გამოც იგი დისციპლინურ საქმეს მიუდგა სუბიექტურად, ვერ დაძლია პირადი ინტერესი და გამოიტანა უსამართლო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება,* მხოლოდ საჩივრის ავტორის სუბიექტური შეფასებაა, რაც ვერ გახდება კოლეგიის თავმჯდომარის საქმის განხილვისაგან აცილების ლეგიტიმური საფუძველი, რამდენადაც აცილების საფუძვლები ამომწურავადაა ჩამოთვლილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე-31-ე მუხლებში, რომელთაგან არცერთი არ მოიცავს საჩივრის ავტორის მიერ დასახელებულ არგუმენტს. ამასთან, პალატის შეფასებით, საჩივრის ავტორი ვერ უთითებს ვერცერთ იმგვარ საფუძველზე, რაც მოცემული საქმის განხილვისას, კ---------- გ---------ის მხრიდან მიუკერძოებლობის/მიუმხრომლობის გამოვლენას ეჭქვეშ დააყენებდა. ობიექტურად გამართლებადი ეჭვის წარმოშობისათვის, აუცილებელი იყო საჩივრის ავტორს ისეთი გარემოებები დაესახელებინა, რომლებიც მიუთითებდნენ საქმეში მონაწილე მხარესთან - გ--- კ----------თან წარსულში ან ამჟამად, კოლეგიის თავმჯდომარის - კ---------- გ---------ის უშუალო კავშირზე *(არსებულ დავასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა ან წარმომადგენლობა, მხარესთან მრავალწლიანი პროფესიული ან პარტნიორული ურთიერთობა, რაც ქმნის მხარისადმი განსაკუთრებული კეთილგანწყობის საფუძელს და სხვ.),* მასთან რაიმე ფორმით დამოკიდებულებაზე *(იერარქიული, ფინანსური, სამსახურეობრივი და სხვ.),* კონკრეტული საქმის შედეგის მიმართ მის ინტერესზე *(პირადი, ქონებრივი და სხვ.)* და ა.შ.; მოცემულ შემთხვევაში კი, საჩვრის ავტორს ამგვარ გარემოებებზე არ მიუთითებია. მარტოოდენ ზეპირსიტყვიერი განმარტება მასზედ, რომ *რამდენიმე საქმეზე ისინი წარმოადგენდნენ მოწინააღმდეგე მხარეთა წარმომადგენლებს,* არ ქმნის საკმარის წინაპირობას კ---------- გ---------ის მიუკერძოებლობაში ეჭვის შესატანად, მით უფრო, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია შედგება 15 წევრისგან, რომელთაგან არანაკლებ 12 წევრი ადვოკატია *(„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება)* და რომელთაც, ეთიკის კომისიის შემადგენლობაში ყოფნის პარალელურად, არ ეკრძალებათ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია, რომ საქმის განმხილველ კოლეგიის თავმჯდომარეს, ისევე, როგორც კოლეგიის სხვა წევრებს, საჩივრის ავტორთან ერთად ან წარსულში განეხორციელებინათ, ან ახლა ახორციელებდნენ ან მომავალში განახორციელონ როგორც ერთიდაიმავე მხარის, ასევე დაპირისპირებულ მხარეთა ინტერესების დაცვა, რაც სხვა დამატებით გარემოებებზე მითითების გარეშე, საჩივრის ავტორის ეჭვს მიუკერძოებლობასთან მიმართებით, ლეგიტიმურად ვერ

აქცევს.

სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქ/პუნქტის თანახმად, *ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის,* ამავე მუხლის „ბ“ ქ/პუნქტის თანახმად, *ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.* ამავე კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.

გამომდინარე იქიდან, რომ ა–––––––––––– კ------ის მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა *(მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი)* და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის *(მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილები)* მოთხოვნები, პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და მართებულადვე დაეკისრა სახდელის სახით - გაფრთხილება; შესაბამისად, დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ადვოკატ ა–––––––––––– კ------ის საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ა–––––––––––– კ------ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 14 ნოემბრის №021/22 გადაწყვეტილება;

3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;

4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **ალექსანდრე წულაძე**

მოსამართლეები: **რევაზ ნადარაია**

გოჩა აბუსერიძე